რეკორდების სიუხვე



28 მარტს საბჭოთა მოცურავეებმა კიდევ 7 საკავშირო რეკორდი გააუმჯობესეს ლენინგრადის 25-მეტრიან საცურაო აუზში, სადაც ტარდება საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, 18 წლის თინათინ ლეკვეიშვილი. მან გულაღმა 200 მეტრზე ცურვაში 2.24,2 აჩვენა და კვლავ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. სამი დღის მანძილზე თინამ მეხუთე შესწორება შეიტანა მიღწევათა ცხრილში.

მოსკოველმა მოსწავლემ, 17 წლის ნ. პეტროვამ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვას 5 წუთი და 9 წამი მოანდომა.

უძლიერესის ტიტულისთვის თავისებური ბრძოლა გააჩაღეს დონეცკელმა სტუდენტმა ვ. პარტიკამ და მომავალმა ასტრახანელმა ექიმმა მ. სუხარევამ. 200 მეტრზე კომპლექსური ცურვის წინასწარ შეჯიბრებაში რეკორდი ჯერ ურაინელმა სპორტსმენმა შეასწორა, მერე უფრო სწრაფი შედეგი ასტრახანელმა აჩვენა — 2.09,5. მაგრამ დავა მაინც ფრედ დამთავრდა. ამავე სახეობაში, ოღონდ უკვე 400-მეტრიან დისტანციაზე, რეკორდების ცხრილში პარტიკას სახელი შეიტანეს — 4.36,8.

100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში რეკორდმა დიდხანს ვერ გაძლო: ჯერ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, მოსკოველმა ნ. მატუხინამ 1.00,6 აჩვენა, მერე კი 4×100 მეტრზე ესტაფეტაში (სხვათა შორის, რეკორდი აქაც აღინიშნა — 4.02,5) პირველ ეტაპზე ნოვოსიბირსკელმა ტ. ზოლოტნიცკაიამ „შეამოკლა“ ეს დრო — 1.00,0.

იმ საღამოს გამოირჩეოდა სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდიც, რომელმაც ქვეყნის რეკორდი დაამყარა 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში — 7.47,0.

სურათზე: თ. ლეკვეიშვილმა სტარტი აიღო.

მ. ზარგარიანის ფოტო.

„დინამოს“ ჩემპიონი ქვეყნის ჩემპიონიც გახდა

ბაკურიანი, 28 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს სამთოთხილამურეები კარგა ჩანს ელოდნენ აქ საშუალო ასაკის მოზარდთა საკავშირო ჩემპიონატის დაწყებას. ტურნირისთვის ნორჩი დინამოელები დიდხანს ემზადებოდნენ. ეს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობამ დაადასტურა, სადაც თბილისელმა მოსწავლემ გ. ლომინაძემ ოთხი გამარჯვება დაისაკუთრა.

საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელისთვის საბრძოლველად ბაკურიანში სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საუკეთესო ჭაბუკებმა და გოგონებმა მოიყარეს თავი. ტურნირში სულ 140-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთა შორის 85 გაჯი იყო.

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

სურათზე: ვ. ლომინაძე გიგანტური სლალომის ტრასაზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

1972 წ.
№ 63 (4573)
30 მარტი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოსწავლეები არ ჩამორჩებიან

შორეულ აღმოსავლეთში მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება დაიწყო. ნახოდკის გემთმშენებელ ქარხანაში გაიხსნა ტირი და საწარმოს 100-ზე მეტმა მუშაკმა უკვე ჩააბარა ნორმატივები სროლაში.

უფროსებს არც მოსწავლეები ჩამორჩებიან. სოფელ რაკოვკის საშუალო სკოლის 150 მოსწავლემ ფიზკულტურის მასწავლებელ ა. ზელენსკის მეთაურობით უკვე ჩააბარა კომპლექსის პირველი, მეორე და მესამე საფეხურების ზამთრის ნორმატივები სათხილამურო რბოლაში.

ყველა მსურველს იწვევენ

საფეიქრო კომბინატისა და უზბეკეთის დედაქალაქის ფრუნზეს რაიონის სხვა საწარმოების მუშა-მოსამსახურეები, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტის სტუდენტები, მოსწავლეები მშდ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივებს აბარებდნენ. წინასწარ უზბეკეთის ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შეჯიბრების მონაწილენი ჯგუფებად დაიყვნენ და ასაკის მიხედვით. მძლეოსნური კროსი, ბირთვის აგდება... ფიზკულტურელთა „საგამოცდო ბილეთებში“ შედგება შეტანილი.

ასეთი შეჯიბრებები უზბეკეთის დედაქალაქის ყველა რაიონის სტადიონებზე და სპორტულ ბაზებზე ჩატარდება. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ყველა მსურველს იწვევენ. სტარტები დიაა.

სპორტული ოლიმპიადა

მათ წარმატება უსურვა ე. გაფურჯანოვმა.

— მომზადების დონისა და ბოლოდროინდელ ოლიმპიადებზე — მოსკოველ ბიჭებს ბევრი ეფიქრებოდა. ეს ,,ოლიმპიადა“ ,,ოლიმპიადა“ ,,ოლიმპიადა“

ნორმატივები უველამ უნდა გაიბაროს

მთავარი და პასუხსაგები ამოცანა ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში დღეს მშდ ახალი კომპლექსია. დღითი დღე ფართოვდება კომპლექსის გეოგრაფია ჩვენს რესპუბლიკაში. ამ დიდ სახალხო საქმეში ფიზკულტურული კადრებისა და აქტივის დახმარების გაწევის მიზნით რედაქციამ შემოიღო ახალი რუბრიკა „ჩვენს საკონსულტაციო მაგიდასთან".

„ლელოს" საკონსულტაციო მაგიდასთან სისტემატურად მოვიწვევთ სპორტული ხაზოგადოებებისა და უწყებების, პროფკავშირული, კომკავშირული, დოსააფის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ხელმძღვანელ მუშაკებს. სიახლეებთან ერთად ისინი მოგვითხრობენ მიღწეულ შედეგებზე. რაც მთავარია, პასუხს გაგცემენ იმ საკითხებზე, რომლებიც პრაქტიკული მუშაობის გზაზე წამოიჭრება.

დღეს ჩვენს კორესპონდენტს თ. საკონსულტაციო მაგიდის პირველი პუბლიკური სამჯდომარე საჩეჩილაძეს ესაუბრება „ლელოს" სტუმარი, „ბურევესტნიკის" რესპ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ცქიტიშვილი.

— მშდ ახალი კომპლექსი, როგორც ყველა სიახლე, შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. სახელდახელო მასპინძლობაზე შეგნებულად ვთქვით უარი. ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და სასურველ სტუმარს მხოლოდ აუცილებელი მომზადების შემდეგ გავეგზავნეთ კარი თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. ყველგან შეიქმნა ნორმატივების მიმღები კომისიები. მათი ხელმძღვანელობით მომზადდა სტენდები კომპლექსის ნორმატივებით, თვალსაჩინოდ გამოიკრა მისი შინაარსისა და მნიშვნელობის ამხსნელი მასალები. შეძენილია აუცილებელი ინვენტარი, მოწესრიგდა ბაზები. მარტის პირველი კვირა უმაღლესი სკოლების კათედრებმა სტუდენტთა შორის მშდ კომპლექსის განმარტებას და პროპაგანდას დაუთმეს.

კათედრებმა ფიზაღზრდის პროგრამამ ამ ნორმატივებს შეუფარდეს. ერთი სიტყვით, გასულ კვირაში სტუდენტები პასუხისმგებლობის გრძნობით წარსდგნენ ოფიციალურ გამოცდებზე.

მთელი საქმიანობის კოორდინაციას „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოსთან შექმნილი კომისია აწესრიგებს. აქვე ტარდება თათბირ-სემინარები, ჯამდება ერთი კვირის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა. ამით საშუალება გვეძლევა სიახლეების დანერგვასთან და მიღწეულ წარმატებებთან ერთად დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები ნაკლოვანებათა დასაძლევად.

აი, ჩვენი პრაქტიკული საქმიანობის პირველი ცნობები: სამედიცინო ინსტიტუტში მძლეოსნურ კროსში 570 სტუდენტი მონაწილეობდა და მხოლოდ 280 შესწვდა ჩასათვლელ ნორმატივს. 560 სტუდენტი ტანვარჯიშში აბარებს გამოცდას. კონსერვატორიაში 55 სტუდენტი ცდიდა ძალას ღერძზე მიზიდვაში. კომისიამ მხოლოდ 35 შეფასება დადებითად. თეატრალურ ინსტიტუტში მშდ-ს სეზონი ხელყუმბარის ტყორცნით გახსნეს. 35 სტუდენტიდან 16-მა ვერცხლისა და 2-მა ოქროს ნიშანზე ჩაბარა ნორმატივი. სტარტზე სიგრძეზე ხტომაშიც იგივე 35 სტუდენტი გამოვიდა, მაგრამ შეფასება 19-მა დაიმსახურა. ნორმატივები მასობრივად ბარდება ფიზკულტურის, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების, უნივერსიტეტის, „ბურევესტნიკის" ბაკვშვთა სექციებში.

— ბუნებრივია, — განაგრძობს გ. ცქიტიშვილი, ბევრს დაებადება კითხვა რა იღონონ „ჩაჭრილმა" სტუდენტებმა? არავითარი შეღავათი. ყველა სტუდენტი ვალდებულია მოემზადოს და აუცილებლად ჩაბაროს ნორმატივები. ამის საშუალება მათ დამატებით სპეციალურ საკონსულტაციო ჯგუფებში ექნებათ. ამ მეცადინეობისთვის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე დრო ცალკე იქნება გამოყოფილი.

კომისიების მუშაობა მხოლოდ ხსენებული დონისძიებებით როდი ამოიწურება. შევიმუშავეთ გეგმა, რომლის მიხედვითაც უმაღლესი სასწავლებლები კომპლექსის ჩაბარების ორგანიზაციაში შეიყობას გაუწევენ რესპუბლიკის სასოფლო რაიონებს. მალე ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლის სპეციალური აგიტბრიგადა სკოლის უფროსის ა. ნუმსაძის ხელმძღვანელობით რაიონების გზას დაადგება.

ანგარიშები სრულფასოვანი რომ იყოს

საქართველოს ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ განიხილა რესპუბლიკის ოსტატთა გუნდების წლიური ანგარიშები. რა შედეგები აქვთ მათ ნაჩვენები პირველობის მატჩებში?

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	ა.
1. უმაღლესი ლიგა (16 გუნდი)						
„დინამო" (თბილისი)						
ა) ძირითადი შემადგენლობა	14	8	8	33—33	36	3
ბ) დუბლიორთა შემადგენლობა	12	6	12	36—39	30	9
2. პირველი ლიგა (22 გუნდი)						
„ტორპედო" (ქუთაისი)	12	15	15	47—53	39	11
3. II ლიგის IV ზონა						
ა) „მეტალურგი" (რუსთავი)	19	13	6	54—25	51	2
ბ) „დინამო" (ბათუმი)	12	19	7	35—28	43	4
გ) „მერცხალი" (მახარაძე)	12	16	10	32—39	40	6
დ) „დილა" (გორი)	12	15	11	50—52	39	7
ე) „კოლხეთი" (ფოთი)	12	13	13	34—38	37	11
ვ) „დინამო" (სოხუმი)	12	12	14	50—50	36	13
ზ) „მეშახტე" (ტყიბული)	13	9	16	47—57	35	15

თბილისის „დინამომ" საპატიო III ადგილი დაიკავა. ეს საერთო ჯამში დიდი წარმატებაა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება სერიოზულად არ ვიფიქროთ გუნდის თამაშის სტაბილურობაზე, შედეგიანობაზე, დამაჯერებლობაზე, სანახაობრივ სილამაზეზე.

სუსტად გამოვიდა „დინამოს" დუბლიორთა შემადგენლობა, რამაც არ შეიძლება შეშფოთება არ გამოწვიოს, ვინაიდან იგი გახლავთ ექსპერიმენტული ლაბორატორია, რეზერვების სკოლა და ძირითადი შემადგენლობის უახლესი რეზერვი.

ასევე არადამაკმაყოფილებელი იყო ქუთაისის „ტორპედოს" თამაში. ამის ძირითადი მიზეზი გახლდათ უმაღლესი ლიგიდან პირველში გადასვლით გამოწვეული განწყობილება. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლექტივის ხელმძღვანელთა მისწრაფებამ, რომ რესპუბლიკის საფეხბურთო ორგანიზაციისგან განცალკევებით არ ეცხოვრათ.

საერთო ჯამში დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს სეზონი II ლიგის ოსტატთა გუნდებმა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს მათი დაბალი შედეგიანობა. მაგალითად, შიდი გუნდიდან მხოლოდ ორს (რუსთავის „მეტალურგი" და ბათუმის „დინამო") აქვს გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი სხვაობა. ამას გარდა, გუნდების ძალიან დიდი ხანი დასჭირდათ, სანამ კონდიციურ თამაშს გვიჩვენებდნენ (ბათუმის „დინამო", მახარაძის „მერცხალი"). აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მათ საჭირო ეფექტურობით არ გამოუყენებიათ მოსამზადებელი პერიოდი. როგორც ჩანს, ერთის მხრივ სათანადოდ ვერ შეაფასეს მისი როლი სეზონისთვის წარმატებით მზადებაში. მაგრამ არც მწვრთნელები ცდებიან, როცა წერენ, რომ საგაზაფხულო მზადებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა შავგულიძის თასზე თამაშების მოკლე ორ-სამდღიანი ინტერვალებით ჩატარებამ. ეჭვი არ არის, ამ გათამაშების ორგანიზაცია უნდა მოწესრიგდეს. იგი ხელს კი არ უნდა უშლიდეს, არამედ უნდა ეხმარებოდეს გუნდს სეზონისთვის უკეთ მომზადებაში.

II ლიგის ოსტატთა გუნდების მთავარი ნაკლი ისაა, რომ მათ, როგორც წესი, მოძრაობა აკლიათ. ეს მარტო იმით როდი აიხსნება, რომ ჩვენებმა ასეთი თამაშის გემო ჯერ კიდევ ვერ გაიგეს (უნდა გაეგოთ კი აქამდე). აქ გარკვეულ როლს ასრულებს ფიზიკური მოუმზადებლობაც, რის გამოც ფეხბურთელებს ენერგეტიკული რესურსები აკლიათ. აი, რატომ არ ჰყოფნიდათ გუნდებს ძალა მთელი ჩემპიონატისთვის მაშინაც კი, როცა გუნდი (მაგალითად, რუსთავის „მეტალურგი") მატჩებში, თუ შეიძლება ითქვას, მოძრაობის კარგ უნარს გვიჩვენებს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ დიდხანს ლიდერთა პოზიციებზე მყოფი რუსთაველები საბოლოოდ II ადგილს დასჯერდნენ.

ფიზიკური მომზადება აშკარად მეტ ყურადღებას მოითხოვს. ჩვენ კიდევ უფრო შორს მივდიოართ და ვაკეთებთ კიდევ უფრო საერთო დასკვნას, რომ ჩვენი II ლიგის გუნდებს საბოლოო ჯამში ჯერ კიდევ არ უსწავლიათ ბაკმაო ეფექტურობით წვრთნა და ბენდორზე ენერგიულად ბრძოლა. ამაში რსფსრ-ს II ლიგის გუნდები ბევრად გვისწრებენ. ვერ დავეთანხმებით მწვრთნელებს, რომელთაც კანონად გადაქციეს ჩვენი: შესაფერისი ფეხბურთელები არა გვყავსო. მათ უნდა ვუპასუხოთ, რომ ჩვენი II ლიგის ოსტატთა გუნდები ბევრად უკეთესი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, ვიდრე მათი მეტოქეებისა ზონაში. საქმე ისაა, რომ წვრთნისა და თამაშის ორგანიზაციის მხრივ ჩამოვრჩებით. სხვათა შორის, „ფოთის „კოლხეთის" მარცხი პირველობის მეორე წრეში სწორედ წვრთნისადმი გულგრილი დამოკიდებულებით აიხსნება. საკმარისია ითქვას, რომ გუნდმა ერთი წლის განძილზე სულ 26 მეცადინეობა ჩაატარა დიდი დატვირთვით, 53 — საშუალო, 64 — მცირე დატვირთვით. ეს ძალიან ცოტაა.

* * *

წლის შედეგები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს სრულფასოვანი ანგარიშების აუცილებლობას, რაც მწვრთნელებსა და სასწავლო-მეთოდურ საბჭოს გუნდებში საწვრთნელი მუშაობის ანალიზის საშუალებას მისცემს.

მწვრთნელები ხშირად გვეკითხებიან: როგორი უნდა იყოს ანგარიში?

პირველ ყოვლისა, ანგარიშის მთავარი ფორმა — მზადების მომდინარე გეგმის შესრულების ციფრებში ჩვენება — გეგმის ყველა პოზიციას უნდა მოიცავდეს, ესე იგი, გეგმით გათვალისწინებული ყოველი ციფრის გასწვრივ საანგარიშო ციფრი უნდა იდგეს. სხვაგვარად შეუძლებელია გეგმის შესრულების რაიმე ანალიზზე ლაპარაკი. წარმოდგენილი ანგარიშებიდან ამ თვალსაზრისით სრულად ვერც ერთი ვერ უპასუხებს მოთხოვნებს.

ანალიზის შედეგიანობისა და საქმიანადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების თვალსაზრისით სხვებზე შინაარსიანი და სრულფასოვანია გორის „დილას" (უფროსი მწვრთნელი გაბუნია) ციფრობრივი მასალა. დეტალურად და უტყუარადაა აღნუსხული გუნდში დროის განაწილება. ერთადერთი, რასაც ვერ დაამტკიცებს მწვრთნელი, დილის მეცადინეობათა რიცხვია. ანგარიშით 365 ასეთი მეცადინეობა აქვთ ჩატარებული, სინამდვილეში კი არ ვიცით, რამდენჯერ გამოვიდნენ გუნდის წევრები ერთად სავარჯიშოდ. გორელებს კიდევ ერთი რამ უნდა ვუსაყვედუროთ: გუნდს მხოლოდ ორჯერ აქვს გავლილი სამედიცინო შემოწმება. კარგი იქნებოდა კიდევ ერთხელ მაინც ჩატარებინათ ასეთი შემოწმება, კალენდარული თამაშების დაწყების წინ.

მაგრამ მთავარი ის როდია, რომ მწვრთნელებს სხვადასხვაგვარად და არც თუ სათლად აქვთ წარმოდგენილი, რა ციფრობრივი მასალა და როგორი ფორმით უნდა შეიტანონ წლიურ ანგარიშში. კიდევ უფრო უარესია, როცა ეს ანგარიში თითქმის არ შეიცავს ციფრობრივ მასალას, იფარგლება, ასე ვთქვათ, სუფთა ბელეტრისტიკით (ფოთის „კოლხეთი").

რუსთავის „მეტალურგის" ანგარიშში, მაგალითად, აღინიშნება „თანხვდომა" 1970 წლის მონაცემებთან. ეს მით უფრო საოცარია, რომ 1971 წელს გუნდმა 10 შეჯიბრებით მეტი ჩაატარა და ამას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა საერთო სურათზე. მიუხედავად ამისა:

	1970 წ.	1971 წ.
1. დასვენების დღეების რიცხვი	90	90
2. მეცადინეობის დღეების რიცხვი:		
დიდი დატვირთვით	40	40
საშუალო დატვირთვით	95	95
მცირე დატვირთვით	70	70
3. დამატებითი მეცადინეობის რიცხვი	10	10
4. პერიოდების ხანგრძლივობა (დღეებში)		
ა) მოსამზადებელი	59	59
ბ) საშეჯიბრებო	120	120
გ) გარდამავალი	26	26
5. საწვრთნელ მეცადინეობათა რიცხვი (საათებში)		
ა) მოსამზადებელი პერიოდი	50	50
ბ) საშეჯიბრებო პერიოდი	130	130

ერთი სიტყვით, ემთხვევა ყველაფერი ჩატარებული შეჯიბრებების რიცხვის გარდა.

1971 წლის შედეგების მიხედვით, რუსთავის „მეტალურგი" ჩვენი II ლიგის საუკეთესო გუნდია. მისი მუშაობის გამოცდილება მრავალმხრივ საინტერესოა. მაგრამ გუნდის მწვრთნელი კოჩიაშვილი სათანადო პასუხისმგებლობით არ მოკიდა თავის მოვალეობას, როცა ერთი წლით ადრე შედგენილი ანგარიში გადაიწერა.

აღმაშფოთებელი ფაქტია. კიდევ რა უტირს, ეს ციფრები მაინც რომ ჰგავდეს რამეს. ავიღოთ პერიოდების ხანგრძლივობა. საერთო ჯამში ისინი 205 დღეს შეადგენენ (59+120+26). წლის დანარჩენი დღეები რა იქნა? შემდეგ: საწვრთნელო დროის წლიური მოცულობა 180 (?!) საათს უდრის. ეს მაშინ, როცა 215 მეცადინეობიდან თითოეულის ხანგრძლივობა 1-3 საათია.

დიახ, სამწუხაროდ, ყველა ციფრი ამ პირობებში, როცა კალენდარული თამაშები ოთხ დღეში ერთხელ ტარდებოდა, ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეძლო გუნდმა 255 ძირითადი მეცადინეობის ჩატარება, თანაც, მათგან 86-ისა — დიდი დატვირთვით. როგორ შეიძლება ძირითადი და დამატებითი მეცადინეობების დრომ წლიწადში 501 და თუნდაც 552 საათი შეადგინოს? როგორც ჩანს, ამ გუნდების მწვრთნელებმა სასურველი სინამდვილედ მიიღეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უფრო სარწმუნოდ გორის „დილის" ციფრები გვეჩვენება, რაც ადასტურებს, რომ ძალიან ხშირი შეხვედრები დამღუპველად მოქმედებს გუნდების საწვრთნელ რეჟიმზე.

* * *

მაშასადამე, საჭიროა ვიცოდეთ, რა ცნობები უნდა იყოს შეტანილი ანგარიშში. საჭიროა, რომ საანგარიშო ციფრები გუნდში კარგად წარმოგვიდგინონ აღრიცხვას ეყრდნობოდეს, შეთხზული არ იყოს. მაგრამ ეს ორი პირობაც არ კმარა საიმისოდ, რომ ანგარიშები ნამდვილად გუნდის მუშაობის სარკედ იქცეს. საჭიროა ისიც, რომ ანგარიში არ სცოდავდეს არითმეტიკის, ურთიერთდაკავშირებული ციფრობრივი რიგებისა და სუფთა მეთოდური შეცდომების მხრივაც კი.

არსებობს აუცილებელი წესი: წლიური ანგარიში წლის ყველა კალენდარულ დღეს უნდა მოიცავდეს. ჩვენ რუსთავის „მეტალურგის" მაგალითიც კი მოგვყავდა, სადაც მოსამზადებელი, საშეჯიბრებო და გარდამავალი პერიოდები საბოლოო ჯამში მხოლოდ 205 დღეს შეადგენდა. სოხუმელებთან კი პირიქით. თუ შევკრებთ შეჯიბრების (65), დასვენებისა (85) და ძირითად მეცადინეობათა (250) დღეებს, საბოლოო ჯამში 400 დღე გამოდის (ამასთან, ანგარიშში რატომღაც არ არის შეტანილი ყოველწლიური დასვენება). მაგრამ წელიწადში ხომ სულ 365 დღეა.

ციფრებს თავიანთი ლოგიკა აქვთ. გორელებმა ერთ შემთხვევაში უღალატეს თავიანთ წესს, რომლის მიხედვითაც კრებსითს მონაცემებში ყოველთვიურ ანგარიშს ეყრდნობოდნენ. უღალატეს და მყისვე დაისაჯნენ კიდევ. ყველა ჩატარებული მეცადინეობა სათმიზნობრივად აქვთ დაყოფილი — ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადებისთვის. ეს კი აშკარა ტყუილია. პრაქტიკულად უბრალოდ შეუძლებელია რომ ყოველი ცალკეული მეცადინეობა გუნდებში მხოლოდ ფიზიკურ, ტექნიკურ ან ტაქტიკურ მომზადებას ეძღვნებოდეს. ცნობილია, რომ გუნდებში უმეტესად კომპლექსური მეცადინეობა ტარდება, რაც გორელებს არა აქვთ მინიშნებული.

არითმეტიკაში ერთი შეცდომა აქვთ დაშვებული მახარაძელებს. დილის მეცადინეობისთვის ისინი წელიწადში 262 საათს გვიჩვენებენ, ციფრების მიხედვით კი 255 გამოდის. ეს მავალითი მხოლოდ იმიტომ მოგვყავს, რომ გუნდები დარწმუნდნენ: მათს ანგარიშებს გულმოდგინედ ამოწმებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი საფეხბურთო ორგანოები.

ამ წერილში თბილისის „დინამოს" ანგარიშის შესახებ არ ვლაპარაკობთ, რადგან იგი გვიან შემოვიდა და ცალკე განვიხილეთ.

ადგილობრივი საფეხბურთო ფედერაციების პრეზიდიუმები ვალდებულნი არიან კაეცნონ ამ წერილს გუნდის ხელმძღვანელებთან ერთად მოწვეულ სხდომაზე.

ფეხბურთის სამმართველო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭო ადნიშნავენ, რომ დღემდე არ წარმოუდგენიათ 1971 წლის ანგარიშები ქუთაისის „ტორპედოს" და ტყიბულის „მეშახტეს".

ფეხბურთის რესპუბლიკური სამმართველო, სასწავლო-მეთოდური საბჭო.

	„ტ."	„დ." (ბ.)	„მ."	„დ." (ს.)
1. სამეცადინო დღეების რიცხვი	172	207	208	255
დიდი დატვირთვით	25	30	—	86
საშუალო დატვირთვით	88	117	—	100
მცირე დატვირთვით	59	60	—	69
2. დამატებით მეცადინეობათა რიცხვი	9	16	34	29
3. ძირითად მეცადინეობათა ჯამი საათებში	256	—	467	523
4. დამატებით მეცადინეობათა ჯამი საათებში	9	—	34	29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალა შესწევს ქადილისა

ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები

ის მოულოდნელად მოვიდა ჭიდაობაში. კახეთში, აღიარებული ფალავნების ამ კუთხეში დაბადებულმა ბიჭმა გვიან ვაუგო გემო ნამდვილ ჭიდაობას. გაუგო და მერე მისი თავგადადებული თაყვანისმცემელი გახდა. შეუძლებელია ჭიდაობის სიყვარული მასში ქვეშეცნეულად თავიდანვე არ ყოფილიყო, იქნებ ეს სიყვარული თანდათან ვროვდებოდა და გამოხატვას ეძებდა. მით უფრო საკვირველია, რომ ნოდარ მოდებაძე მშობლიურ სოფელში აკურაში კი არ გაჰყოლია ჭიდაობას, არამედ თბილისში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს. რაიონში თითქმის არ იყო ტანით ნოდარზე მაღალი ბიჭი და ამიტომ, ბუნებრივია, იგი კალათბურთს თამაშობდა. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ესაა: კალათბურთს ხელი კი არ შეუშლია, პირიქით, ერთგვარად მოამზადა იგი დიდ... საჭიდაო სარბიელზე. გასასვლელად, 193 სანტიმეტრი სიმაღლის ჭაბუკი ციბრუტივით ტრიალებდა ფარქვეშ და სიმკვირცხლით თითქმის არ ჩამოუვარდებოდა შედარებით ტანმორჩილ პარტნიორებს. ასეთი ტანის კალათბურთელი, თუ კი დააპირებს ჭიდაობას გაჰყვეს, უთუოდ მძიმე წონის ფალავანი იქნება. მომავალში მართლაც ასე მოხდა. ახლა წარმოიდგინეთ, თავიდანვე რა დიდი უპირატესობა უნდა ჰქონოდა ნოდარს დანარჩენ მოჭიდავეებთან შედარებით. რა დასამალია, მძიმე წონის წარმომადგენლები მეტწილად ზზინა, ზანტი მოჭიდავეები არიან. ნოდარზე ამას ვერ იტყოდით. პირველთანრიგოსანი კალათბურთელი პირდაპირ „კოსმოსური“ სისწრაფით ტრიალებდა ხალიჩაზე. ეს მისი უდავო უპირატესობა იყო. დუმატეთ ამას ბუნებით თანდაყოლილი გოლიათური ძალა, დიდი გამძლეობა, გამარჯვების ჟინი და თქვენ მიიღებთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, საუცხოო საჭიდაო მასალას. ეს ახალგაზდა სპორტსმენის ღირსებები გახლდათ. მაგრამ ჭიდაობის სამყაროში ფეხშედგმის დროს ნოდარს ერთი დიდი „ნაკლიც“ ჰქონდა, რაზეც თვითონ, რა თქმა უნდა, დამნაშავე არ ყოფილა. რაცა პირველად გამოჩდა ხალიჩაზე, უკვე თვრამეტი წლისა იყო. ამ ასაკში ბევრი ახალგაზრდა მოჭიდავე უკვე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. ნოდარი კი მხოლოდ იწყებდა გაუკვალავ გზას. ჭაბუკს სირბილით უნდა გაევლო გზა, რომელიც მსმა თანატოლებმა ნაბიჯ-ნაბიჯ, დინჯად და „კაპიტალურად“ განვლეს. ამ სპრინტერულ დისტანციაზე მისი მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ დიდი მონდომება, შრომისმოყვარეობა, თანდაყოლილი ნიჭი და, რაც მთავარია, გულისხმიერი, გამოცდილი მწვრთნელი. საბედნიეროდ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სპორტულ კინოფილმში. ნიჭიერი ჭაბუკი, მამასავით მოსიყვარულე მწვრთნელი, ბრწყინვალე ჯამარჯვებები... ცხოვრებაში ასე სწრაფად ძნელია რაიმე მოხდეს, მაგრამ ამჯერად მართლაც ასე იყო.

პირველივე სერიოზულმა შეჯიბრებამ — „შრომითი რეზერვების“ ჭაბუკ მოჭიდავეთა 1967 წლის საკავშირო ასპარეზობამ ნოდარ მოდებაძეს გამარჯვება მოუტანა. იგი ხუთჯერ გამოვიდა სარბიელზე და ხუთივეჯერ ბევრებით გაიკრა ხალიჩას მეტოქეები.

ეს წარმატება შემთხვევითი და მოულოდნელი არ ყოფილა. მას წინ უძღოდა მომქანცველი ვარჯიშები, მწვრთნელისა და მოწაფის ნაყოფიერი მუშაობა, ჭიდაობის უსაზღვრო სიყვარული (დიახ, შემთხვევით არ ამბობენ, რომ დაგვიანებული სიყვარული საზოგადოდ ყველაზე ძლიერია).

ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ახალბედა სპორტსმენისთვის პირველივე ასპარეზობაში გამარჯვება. მერე ვინდა დამარცხდე კიდეც, მაინც მტკიცედ ხარ დარწმუნებული საკუთარ ძალაში. ზოგს პირველი დიდი წარმატება თავბრუს ახვევს, მაგრამ, საბედნიეროდ, ნოდარი იმთავითვე თავმდაბალი ჭაბუკი იყო და „ვარსკვლავურ დაავადებას“ ახლოს არ იკარებდა.

შემდეგ მოდებაძე, რა თქმა უნდა, დამარცხდა კიდეც. იყო წარუმატებლობანი, მაგრამ პირველი გამარჯვების სიხარული დღემდე ამხნევებს და ძალას მატებს. საბედნიეროდ, წაგება მისთვის მუდამ მხოლოდ არატიპიური ეპიზოდური მოვლენა იყო, გამარჯვება კი, გაგიხარიათ, უკვე ბევრზე ბევრი აქვს მოპოვებული. თავისი ასაკის კვალობაზე, რასაკვირველია. იგი ხომ მხოლოდ 22 წლისაა.



დიახ, ის დამარცხდა კიდეც. მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც. ცოტა გაცვეთილი ნათქვამია: წაგება ზოგჯერ საპატიოაო, მაგრამ სხვანაირად რა დავარქვათ ჭაბუკი მოჭიდავის შეხვედრას თვით ალექსანდრე მედვედთან? დიახ, წაგო ნოდარმა. სამაგიეროდ ბევრი რამ გაიგო და ისწავლა.

ისწავლა, პირველ ყოვლისა, გამარჯვების ხელოვნება. იგი ზედიზედ იგებს ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატს, „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობას, საქართველოს ჩემპიონატს მოზრდილთა შორის, სტუდენტთა საკავშირო ასპარეზობას, „ოლიმპიური იმედის“ ტურნირს, უნგრეთის საერთაშორისო შეჯიბრებას, თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს (ორგზის), მედვედის სახელობის საერთაშორისო შეჯიბრებას. აბა, რომელი ახალგაზრდა მოჭიდავე არ ინატრებდა ასეთ იღბლიან დასაწყისს?

ჩვენ შეგნებულად ჩამოვთვალეთ შეჯიბრებები, სადაც მოდებაძემ თავი ისახელა. ნოდარი, როგორც ფალავანი, ჯერ კიდევ შედარებით „უცნობია“ გულშემატკივართათვის. გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ საბჭოთა კავშირის დამსასურებული მწვრთნელის გიორგი როსტაშვილის ნიჭიერ მოწაფეს „ძალა შესწევს ქადილისა“, შეუძლია თამამად შეერკინოს ნებისმიერ მეტოქეს.

როცა მინსკში მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მოდებაძემ ბრწყინვალედ გაიმარჯვა, მას ღიმილით მიუახლოვდა სახელგანთქმული ფალავანი, მაგრად ჩამოართვა ხელი, გადაცა თავისივე სახელობის თასი და უთხრა: — ვფიქრობ, რომ ეს ღირსეულ მოჭიდავეს ერგო. მე მჯერა შენი, ნოდარ, უთხრა და გზა დაულოცა საბჭოთა კავშირის ნაკრებში. თავისუფალ ჭიდაობაში მედვედის აზრი კი ძალიან ბევრს ნიშნავს.

არა, არ გაუმტყუნებია ლეგენდარული მოჭიდავის იმედი ქართველ ფალავანს. ამას წინათ იგი კვლავ წარსდგა მაყურებელთა წინაშე, ამჯერად ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. იხუვლა სპორტის სასახლემ, როცა ერთობ რთული, წინდახედული და „საყაიმო“ ჭიდაობის ფინალურ ნაწილში მოდებაძემ ელვასს სისწრაფით აიტაცა გოლიათი ვ. პარშუკოვი. მის მოძრაობაში იგრძნობოდა ისეთი დიდი ძალა, ოსტატობა და გაბედულება, რომ ათლეტმა მყისვე დაიჭერო ათასობით მაყურებელი. დაუვიწყარი წუთი იყო. ეს იყო ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება. გამარჯვება, რომელიც შესაძლებელია ქართველ გოლიათს მსოფლიო სარბიელისკენ უხსნიდეს გზას.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ელოდა ჭიდაობის ქართული სკოლა ფალავანს ყველაზე მძიმე წონაში. ელოდა არსენ მეკოკიშვილის, ოთარ კანდელაკისა და სხვათა ღირსეულ მემკვიდრეს. ჩვენი აზრით, ნოდარ მოდებაძე ყველაზე ახლოა ამ საპატიო მიზანთან.

ა. გოგელია.

* * *

სურათზე: ნ. მოდებაძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

კალათბურთელთა რესპუბლიკური შეჯიბრების პირველ ტურში მძაფრი ბრძოლით აღინიშნა განათლების განყოფილებისა და „უშბის“ ქალთა კოლექტივების შეხვედრა. ტაიმი ნორჩმა კალათბურთელებმა მოიგეს — 33:25, მაგრამ უშბელებმა, რომელთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ფ. ჩხეიძე, შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. მატჩის დამთავრებას წუთზე ნაკლები აკლდა, „უშბა“ კი წინ იყო — 57:56. და აი, სწორედ დროის ამ მცირე მონაკვეთში მოხდა სასწაული. ნორჩმა კალათბურთელებმა ორჯერ წარმატებით დალაშქრეს მეტოქის კალათი და გაიმარჯვეს — 60:57.

გამარჯვებულ გუნდში ყველაზე მედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: ს. კორობკოვა (14) და მ. გაბუნია (12). „უშბაში“ სნაიპერული ტყორცნით გამოირჩეოდა ფ. ჩხეიძე (28).

თანაბარი იყო ფიზკულტურის ინსტიტუტისა და აფხაზეთის ვაჟთა გუნდების ბრძოლა. პირველი ნახევარი აფხაზეთის კალათბურთელებმა მოიგეს (37:32). მეორე ტაიმში ინიციატივას სტუდენტები დაეუფლნენ, მაგრამ ბრძოლის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა — 74:72.

მოგვყავს დანარჩენ შეხვედრათა შედეგები. ქალები. უნივერსიტეტი — აჭარა 80:70 (34:24, 64:64), გორი — ქუთაისი 68:57 (33:25). ვაჟები. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — გორი 82:63 (43:23), „სინათლე“ — აჭარა 90:65 (44:28).

სურათებზე: „სინათლისა“ და აჭარის (ზევით), განათლების განყოფილებისა და „უშბის“ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტები.

ი. იუნაევის ფოტოები.

გუშინ...

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა მეორე ტურის მატჩები. თბილისის განათლების განყოფილების ქალთა გუნდმა დაამარცხა გორის ნაკრები — 82:52 (41:25). ქუთაისელმა ვაჟებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოუგეს გორელებს — 70:66 (30.30).

„დინამოს“ ჩემპიონი ქვეყნის ჩემპიონიც გახდა

დასასრული

მასპინძლებს — საქართველოს სპორტსმენებს — ტურნირში 5 მოთხილამურე გამოჰყავთ. ესენი არიან ლომინაძე, ბაკურიანელები შ. ჯიჭოევი, დ. სოტიშვილი, თბილისელი კ. ურუშაძე, რომლებიც „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდში ჩაირიცხნენ, აგრეთვე, სპარტაკელი ი. ძიძიგური.

მარტის ჭირვეულმა ამინდმა მსაჯთა კოლეგია საგონებელში ჩააგდო. სტარტისთვის ყველაფერი მზად იყო, მეორე დღეს სპორტსმენები გადამწყვეტ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყვნენ, მაგრამ წინა ღამით მოულოდნელად ხვავრეელად მოთოვა. ყველაფერი სულახლა გასაკეთებელი გახდა. ამიტომ სტარტიც დაგვიანდა.

არადა, პროგრამის პირველი სახეობა სწრაფდაშვება იყო — ყველაზე გამბედულთა სახეობა, რომელიც დისტანციაზე მაქსიმალური სიჩქარის განვითარებას მოითხოვს.

ჭაბუკებისთვის 1500-მეტრიანი ტრასა მოეწყო. თავდაპირველად სარბიელი უძლიერესთა ჯგუფის წარმომადგენლებს დაეთმოთ, კენჭისყრისას კი ბედმა ა. არდეევს („ბურევესტნიკი“) გაუღიმა. ტრასაზე ეს მოთხილამურე პირველი დაეშვა და კარგი შედეგიც (1.11,7) აჩვენა.

არდეევს ახლა სხვებისთვის უნდა ეცადა. ყოველ სპორტსმენში იგი ღირსეულ მეტოქეს ხედავდა, მაგრამ არდეევს ისევ უამინდობა დაეხმარა, თოვა დაიწყო.

კოხტაგორის შვერზე მოწყობილი სტარტი თანდათან ცარიელდებოდა, სამაგიეროდ, ფინიშზე თავშეყრილთა რიცხვი მატულობდა, არდეევის მჯობინი კი არავინ ჩანდა. ლომინაძე კარგად დაეშვა, მაგრამ შუა დისტანციაზე ერთ-ერთ ვირაჟში შორიდან მოიარა და... საბოლოოდ — 1.14,0.

როცა ტურნირი დამთავრდა, ლომინაძის შედეგი მესამე აღმოჩნდა. გიორგიმ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ვერცხლი წილად ხვდა ვ. ბეზკურსკის („ტრუი“) — 1.13,5.

გოგონებისთვის ტრასა 200 მეტრით დამოკლეს. აქ სამი საპრიზო ადგილი ასე განაწილდა: 1. ნ. რუსანიუკი („ავანგარდი“) — 1.17,4, 2. ვ. ივანენკო („შრომითი რეზერვები“) — 1.17,8, 3. გ. მარიონდა („ავანგარდი“) — 1.19,5.

მეორე დღეს სარბიელი მთლიანად გოგონებმა დაისაკუთრეს, რომლებიც გიგანტურ სლალომში (1200 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 285 მ 36 კარი) ასპარეზობდნენ.

ამ სახეობაში უძლიერესთა ჯგუფში 19 სპორტსმენმა მოიყარა თავი, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, წინდაით გამარჯვებული რუსანიუკიც იყო. რუსანიუკი უბეიროდ არც ამჯერად გამოსულა, მაგრამ საპრიზო ადგილის მოპოვება ვეღარ შეძლო და საბოლოოდ ტ. კოროტინასთან (შეიარაღებული ძალები) VI-VII ადგილების გაყოფას დასჯერდა.

ლიდერებიდან ისევ ივანენკომ ინარჯა: III ადგილი დაიკავა (1.19,6) და სამთო სამჭიდში დაწინაურდა, ჩემპიონი გახდა ა. ფილიპოვა („სპარტაკი“) — 1.16,7. II ადგილზე გავიდა ე. საუკონენი („ლოკომოტივი“) — 1.18,7.

დღეს ამ სახეობაში ჭაბუკები ასპარეზობდნენ. ყინვა სპორტსმენთა წინააღმდეგ ასხამდა წყალს და ვინც ბუნების ამ წყალობას ტექნიკას უკეთ შეუფარდებდა, გამარჯვებაც მისი უნდა ყოფილიყო.

გ. ლომინაძემ, ეტყობა, სწრაფდაშვებაში დაშვებული შეცდომა კარგად გაითვალისწინა, საკმაოდ სწრაფად დაეშვა და კართა შორის მოხდენილად გადიოდა. წამზომებმა შესანიშნავი დრო — 1.22,5 — აღნიშნეს. ლომინაძე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. მან ვ. ბეზკურსკისა და ვ. სინეტოვს („სპარტაკი“), რომლებმაც II და III ადგილები გაიყვეს, 2,2 წამი მოუგო.

სამჭიდში ლომინაძე დაწინაურდა. ბეზკურსკი II ადგილზეა.

წინ გადამწყვეტი სახეობაა — სპეციალური სლალომი. მისი შედეგების მიუხედავად, ლომინაძე სსრ კავშირის მოზარდთა ნაკრებში ჩაირიცხა, ეს 16 წლის ჭაბუკის დიდი წარმატებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · Спортивен Спорт

ახალი რეკორდი

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა სპორტის კიდევ ერთი „ახალი სახეობა" — სიმძიმეების ყურეებით აწევა. რეკორდი ჯერჯერობით ერთ ჯენტლმენს ეკუთვნის, რომელიც სალიდუმლოდ იმახავს თავის სახელსა და გვარს. შტატებში რეკორდსმენს ნიხტერ იქსი დაარქვეს.

ამას წინათ მიხტერ იქსმა ატლანტაში გაუმჯობესა თავისი ძველი რეკორდი. მან ცალი ყურით „აწევა" 6345 გრამი. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ხულ მალე სპორტის ამ სახეობაში დიდ წარმატებას მიაღწევენ ქალებიც, ვინაიდან თანამედროვე საუკუნეში წონით არ ჩამოუვარდება მიხტერ იქსის მიერ დაძლეული სიმძიმეს.

●

მეფეს გვირგვინს ართმევენ

ბრაზილიის სპორტულმა გაზეთმა „ჟურნალ დოს სპორტსმა" დაბეჭდა წერილი ფეხბურთის მეფეზე. გაზეთის მტკიცებით პელეს ბრალი მოუძღვის იმაში, რომ პოპულარული კლუბი „სანტოსი" ამ ბოლო ხანს წარუმატებლად თამაშობს. ფეხბურთის მეფეს ინდივიდუალისტური ტენდენციები აღმოაჩნდა. იგი არად აგდებს კოლექტივის ინტერესებს და ცდილობს როგორმე თვითონ გაიტანოს გოლი.

მაგრამ მეფე უკვე აღარაა ნეფე. უკანასკნელ 22 მატჩში მან ერთადერთი გოლი გაიტანა, ისიც საჯარიმო დარტყმიდან.

ბრაზილიის ჟურნალისტები ეჭვობ ხმამაღლა მოითხოვენ, რომ პელეს მეფის გვირგვინი ჩამოერთვას და გადაეცეს რიველინოს ან ჟაირზინიოს.

●

ახლად ფეხადგმული ძიუდოისტები

როგორც ცნობილია, იაპონია ძიუდოს სამშობლოა. ეროვნულ ჭიდაობას ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ. მოავარი ამ ყურადღებაში, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა „ადრეების მოვლა-პატრონობაა.

ამამდე გავრცელებული წესით, იაპონიაში ძიუდოს სწავლას ბავშვები 3-4 წლის ასაკიდან იწყებენ. მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ უფრო ადრეულ სპეციალიზაციას მეტი ეფექტი ექნება. ახლა ძიუდოს სკოლებში 2-3 წლის ბავშვებს იღებენ.

●

ესეც თავისებური რეკორდია

ინგლისის საფეხბურთო კლუბ „ნოტინჰემ ფორესტს" უკუთვნის მიღწევა, რომელიც ალბათ მსოფლიოს ჰახოლუტურ რეკორდად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ კლუბის არც ერთ წევრს 1945 წლიდან მსაჯისავან არც ერთხელ გაფრთხილება არ მიუღია (ალბარან ვამბობთ გაძევებაზე).

მაგრამ წესიერმა თამაშმა გულდა ოსტატობაზე გავლენა ვერ მოახდინა. ყველაზე დისციპლინირებული გუნდი ინგლისის საფეხბურთო დიდების კვალში მიჩანჩალებს.

●

გალახის თხილამურები

შვეიცარიელმა სამთომოთხილამურეებ ტ. რომანენმა ვერაფრით გაითქვა სახელი თოვლიან ბილიკებზე. სამაგიეროდ, მან წარმატებას მიაღწია საკისტრუქტორო მაგიდასთან. რომანენმა გამოიგონა ბალახის თხილამურები. ახალმა სპორტულმა ინვენტარმა წარმატებით ჩაბარა გამოცდა. სპეციალისტებმა შვეიცარიელი მოთხილამურის გამოგონებას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ყოველ შემთხვევაში, ეჭაჩნიათ, რომ სამთომოთხილამურეთა სრულწლიური წვრთნის საკითხი უკვე გადაიჭრა.

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკოკლუბში გრძელდება დედაქალაქის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალი და საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა გუნდური ტურნირი.

ქალთა შეჯიბრებაში ხუთი ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. გაგლოევა — 4 ქულა, ნ. ხუბულური და ლ. კოროშინაძე — 3,5-3,5.

მოსწავლეთა ტურნირში, რომელშიც 22 ქალაქისა და რაიონის გუნდები მონაწილეობენ, ოთხი ტურის შემდეგ წინ არიან ხოხუმი — 13 ქულა, ცხაკაია — 12,5, რუსთავი — 11, ხაშური, სამტრედია, ზუგდიდი, გარდაბანი — 10-10. ცალკეულ დაფებზე წარმატებით თამაშობენ: I დაფაზე — ზ. ღვინიაშვილი (ლაგოდეხი) — 4 ქულა 4-დან, II — თ. კვიდია (ზუგდიდი), გ. მისაბიშვილი (სოხუმი) — 3,5-3,5, III — გ. ჯოჯუა (სოხუმი) — 4, გოგონების დაფაზე — ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) — 4.

სურათზე: მოსწავლე მოჭადრაკეებმა მორიგი ტური დაიწყეს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ᲥᲐᲠᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **სოფია**, 28 მარტი. საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდები. მეორე ტაიმში კოპეიკინის მიერ გატანილი ბური გადამწყვეტი აღმოჩნდა. გიმარჯვა საბჭოთა გუნდმა — 1:0.

● **კიშინიოვი**, 23 მარტი. **რესპუბლიკის ნორჩ მძლეოსანთა ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა 16 წლის ლ. ანდრიეში, რომელმაც 174 სმ სიმაღლე დაძლია და ქალთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა.**

● **ტალინი**, 28 მარტი. იუნე მისტეს ტბაზე სტარტი აიღო საკავშირო ჩემპიონატმა საბუერო სპორტში. „მონოტიპის" კლასში იმარჯვა არმიელმა კ. კირსმა, 12 კვ მეტრის იალქნიანი ნაკეთით შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ლ. ვინოგრადოვი.

● **ნიუ-იორკი**, 28 მარტი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ესტუმრა ფიგურულ სრიალში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთა ჯგუფი — სსრ კავშირის, აშშ-ს, გდრ-ის, გფრ-ის, ავსტრიის, კანადისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები, რომლებიც ტურნეს აწყობდნენ კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში. დიპლომატებთან მეგობრულ შეხვედრაზე სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი და მთელი რიგი სახელმწიფოების წარმომადგენლები.

● **ლვოვი**, 28 მარტი. აქ დამთავრდა უძლიერეს მოფარიკაკეთა ტურნირი, რომელიც მიუნჰენის ოლიმპიადის კანდიდატთა შესარჩევი ასპარეზობა იყო. ესპადრონისტთა შორის წარმატება მოიპოვეს მ. რაკიტამ, ვ. ნაზლომოვმა და ე. ვინოკუროვმა, დაშნით ფარიკაობაში — გ. ზაკიცკიმ, ი. ვალეტოვმა და ი. ვიტებსკიმ, რაპირისტ ვაკთა შორის — ვ. პუტიატინმა, ვ. სტანკოვიჩმა და ი. ჩიკმა, ქალებში — ა. ზაბელინამ, ს. ჩიჩკოვამ და ა. კოროლიოვამ.

ᲥᲐᲠᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

შიონის გეგმები

როგორც ცნობილია, გფრ-ის ნაკრები, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი, განთავისუფლებულია შესარჩევი თამაშებისგან. როგორც ამ დღეებში გერმანელთა მწვრთნელმა ჰ. შიონმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას შემუშავებული აქვს გუნდის მზადების საერთო გეგმა მსოფლიო ჩემპიონატამდე.

წლეულს, 15 ნოემბერს, გერმანელები მიიღებენ შვეიცარიელებს, 1973 წლის 28 მარტს ლონდონში შეხვდებიან ინგლისელებს, 9 მაისს — შინ იუგოსლავიელებს და 12 მაისს აქვე — ბულგარელებს.

გარდა ამისა, გფრ-ის ნაკრები საკლუბო გუნდებსაც შეხვდება.

რამსეის ამბიცია

რამსეის ამასწინანდელი პრესკონფერენცია ფრიად საყურადღებო აღმოჩნდა. ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ევროპის ჩემპიონიც გახდება და მსოფლიო ჩემპიონიც.

მან თქვა, რომ „მექსიკის ამბები" აღარ გამეორდება, როცა ინგლისელებმა სრულიად მოულოდნელად წააგეს გფრ-ის ნაკრებთან და რომ ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრებში არასოდეს ძალიან ეჭვებს რაიმე მნიშვნელობას იმას, თუ სად გაიმართება პირველი მატჩი.

• KOPANA • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABDARUGAS •

გვირგვინოსნები და მედლები

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ სამეფო გვარეულობათა ბევრი წარმომადგენელი გატაცებით მისდევს სპორტს. კარგად გვახსოვს ევროპის შარშანდელი ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში, რომელიც ინგლისის ქალაქ სტატფორდში ჩატარდა. მაშინ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ პირად ჩათვლაში ვალიარჯვა ინგლისის დედოფალ ელიზაბედის ქალიშვილმა, პრინცესა ანამ, რომელმაც შესანიშნავი სპორტული ფორმა გამოავლინა. სამჭიდი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეუტანეს და, ვინ იცის, შეიძლება მიუნჰენის ოლიმპიადის სარბიელზე პრინცესა ანამ ოქროს მედლითაც დაიმშვენოს მკერდი.

რაკი სიტყვა ოლიმპიადებზე ჩამოვარდა, მოდით, მოკლედ გავიხსენოთ ამ ასპარეზობათა ისტორია, რომელიც ეკვრითზებთ არის აღსავსე.

რომის იმპერატორი ნერონი 66—67 წლებში საბერძნეთში მოგზაურობდა და 211-ე ოლიმპიური თამაშები ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას დაუკავშირეს. ცნობილია, რომ ნერონი რომში გრანდიოზულ სანახაობებს აწყობდა, ამასთან, თვითონაც მონაწილეობდა ეტლებით შეჯიბრებაში (მეეტლე), გამოდიოდა როგორც მომღერალი ლეკლამატორიც — თავის ნაწარმოებებს ასრულებდა. პატივმოყვარე იმპერატორმა გადაწყვიტა თვითონაც მიეღო მონაწილეობა ცხრაცხენიანი ეტლებით შეჯიბრებაში. აქ მას ბედმა უმტყუნა — როგორც კი სტარტს გასცდა, ეტლიდან გადმოვარდა. მაგრამ ნერონისა ოლიმპიური შეჯიბრების დროსაც ეშინოდათ. რა გასაკვირია, რომ იმპერატორის მეტოქე ოლიმპიელებმა ცხენები შეაჩერეს, ლაქუცა მსაჯებმა კი ნერონი გამარჯვებულად აღიარეს.

291-ე ოლიმპიურ თამაშებში (ჩვენი წელთაღრიცხვის 385 წელი) მუშტით ბრძოლაში გაიმარჯვა ჭაბუკმა, რომელსაც შემდგომში სამეფო ტახტი ელოდა. ეს იყო ვარაზდატი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებიდან რამდენიმე წლის შემდეგ სომხეთის მეფე გახდა.

დავუბრუნდეთ თანამედროვე ოლიმპიადების ისტორიას.

1896 წლის 5 აპრილს საბერძნეთის მეფე გეორგ პირველმა თანამედროვე ციკლის I ოლიმპიური თამაშები გახსნილად გამოაცხადა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ელინთა მეფეს ძალიან უნდოდა ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მარტო საბერძნეთს ჰქონოდა და ამის შესახებ 1905 წელს ბრძანებაც კი გამოსცა.

მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში „5,5" კლასის ნავებით შეჯიბრებაში ბოლო ადგილი დაიკავა ნორვეგიის კრონპრინცმა ჰაროლდმა ნავით „ფრამ IV". მესამე რბოლაში მან დისკვალიფიკაცია მიიღა, ვინაიდან „რობამად... 6 ნავს დაეჯახა. ჰაროლდის მამა — ნორვეგიის მეფე ულაფი — ოლიმპიური ჩემპიონი იყო ეფრთხობაში. ეს წოდება მან 1928 წელს მოიპოვა ამსტერდამის IX ოლიმპიურ თამაშებში. 1960 წლის ოლიმპიადაში „ურჩხულის" კლასით პირველობა დისაკუთრა საბერძნეთის ეკიპაჟმა. მას ჩაკლიმძღვანელობდა პრინცი კონსტანტინე, რომელიც მალე საბერძნეთის ტახტზე ავიდა.

1956 წელს კორტინა დ'ამპეტცოში ზამთრის VII ოლიმპიადა ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სპორტსმენი ცოტა არ იყოს უცნაური სახელითა და გვარით — ალფონსი გაბედა დე ვეგა ი. ლეიგტონ მარკეზ დე პორტაგო გრაფ დე ლია მეზორადა. ოლიმპიური ბატალიონების მონაწილე 924 სპორტსმენიდან ასეთი გრძელი სახელითა სხვა ვერავინ დაიკვეხნიდა. მაგრამ განსაკუთრებით საოცარი ის იყო, რომ მარკეზი დე პორტაგო ზამთრის სახეობებში მანამდე არასდროს გამოსულა სარბიელზე. მას იცნობდნენ, როგორც მამაც ვაჟკაცს, სახიფათო კორიდების, თავბრუდამსვევი ავტორბოლებისა და ცხენოსნური დღეების მონაწილეს. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ზაფხულში ხდება. ამიტომ ესპანელმა მარკეზმა გადაწყვიტა ზამთარშიც ეცადა ბედი. მან პირველ ყოვლისა თავისთვის „ბობი" იყიდა და მერე ოლიმპიადაზე ეკამურა. მარკეზის ცხოვრებაში პირველ და ერთადერთ საწერთნელ მეცადინეობას 20 წუთი დასჭირდა. მერე მარკეზი ბობსლეისტთა შეჯიბრებაში ჩაება და ყველას გასაკვირად მეოთხე ადგილიც დაიკავა.

გ. სტურუა.

ᲓᲦᲔᲡ



ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის აუზში სტარტს იღებს „ა" კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი შეჯიბრებაში მონაწილეობენ სამხედრო სპორტული ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტსკუბი (მოსკოვი), „ბალტიკა" (ლენინგრადი), „დინამო" (ალმა ათა), „დინამო" (კიევი) და „დინამო" (თბილისი). მატჩების დასაწყისი 19 ს. 30 წ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოსა და თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გამდაიცვალა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის მეკარე, სპორტის ოსტატი
თეიმურაზ ამირანის ძე სტეფანია
გამოსვენება 1 აპრილს 15 ს. ბოლნისი, საკაძის ქ. № 135.